საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდები დასრულდა

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიასთან თანამშრომლობით, 2022 წლის 19 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდები ჩაატარა.

გამოცდისთვის რეგისტრირებულ მოქალაქეთა რაოდენობამ შეადგინა 726 (ქალი - 477, კაცი - 249).

გამოცდის სტატისტიკური მონაცემები:

- გამოცდაზე გამოცხადდა 255 მოქალაქე;
- გამოცდა წარმატებით ჩააბარა 71 პირმა (ქალი - 47; კაცი - 24).

სერტიფიცირების პროცესის მიმდინარეობაზე დამკვირვებლად დარეგისტრირებული იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო პლატფორმა 20/20“.